

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
13 ოქტომბრის №მ59 ბრძანებით

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი*

2020 წელი

სარ ჩევი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....3

მუხლი 2. უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი წესები3

მუხლი 3. სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებები.....4

მუხლი 4. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ტერიტორიისათვის4

მუხლი 5. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის შენობისა და სათავსებისათვის.....4

მუხლი 6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელებისათვის.....5

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ელექტროდანადგარებისათვის5

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის გათბობისა და ვენტილაციის სისტემებისათვის.....6

მუხლი 9. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის7

მუხლი 10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ლაბორატორიების სათავსებისათვის.....7

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები წვადი და ადვილად ალეხადი სითხეების ტარით შენახვისას8

მუხლი 12. ხანძრის შემთხვევაში უნივერსიტეტის თანამშრომლების მოქმედების წესი.....9

მუხლი 13. ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირება10

მუხლი 14. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები, უნივერსიტეტის შენობაში ყოფნის დროს11

მუხლი 15. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები, უნივერსიტეტის ეზოში ყოფნის დროს11

მუხლი 16. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები ნანგრევების ქვეშ მოყოლის შემთხვევაში.....11

მუხლი 17. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს მოქმედების წესები.....12

მუხლი 18. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქტაჟი.....14

მუხლი 19. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნივერსიტეტში ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზება14

ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია ..16

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქუთაისის უნივერსიტეტის „უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ შემუშავებულია უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.
2. ქუთაისის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (მათ შორის შენობაში) და სავალდებულოა შესასრულებლად უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.
3. წესი მიზნად ისახავს უნივერსიტეტში საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას, მოსალოდნელი მავნე შედეგების თავიდან აცილებას, გამოწვეული მავნე შედეგების შერბილებასა და ლიკვიდაციას და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფას.
4. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია ბრძანებით დანიშნოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რომლებმაც დაკავებული თანამდებობის ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოების შესაბამისი წესების შესრულება.

თავი I. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 2. უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი წესები

1. წინამდებარე წესის შესაბამისად დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ევალება უნივერსიტეტის თანამშრომლებს.
2. უნივერსიტეტში მომუშავე ყველა თანამშრომელი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი;
 - ბ) კონკრეტული სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, დაიცვას უსაფრთხოების ზომები აირის ხელსაწყოების, საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნების მოხმარებისას, ადვილადაალებადი და წვადი სითხეების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;
 - გ) იცნობდეს ხანძრის დროს უნივერსიტეტის საევაკუაციო გეგმას, საევაკუაციო გასასვლელებს და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებს;
 - დ) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები;
 - ე) ხანგრძლივი შესვენების დროს (1 საათზე მეტი) ან სამუშაოს (სწავლების) დამთავრების შემდეგ გამორთოს პერსონალური კომპიუტერი ან/და სხვა ელექტროხელსაწყოები ჩამრთველი ჩანგლის ელექტროროზეტიდან გამორთვის გზით;
 - ვ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სამუშაო სივრცის დაკეტვამდე, დახუროს ყველა სარკმელი, გამორთოს ყველა ელექტროხელსაწყო და განათება;
3. უნივერსიტეტში იკრძალება:
 - ა) სათავსებში ადვილადაალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;
 - ბ) თამბაქოს მოწევა;
 - გ) სათავსებში ღია ცეცხლის გამოყენება;

- დ) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრო ინსტრუმენტების გამოყენება;
- ე) ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყოების ხანგრძლივი დროით უმეტესადაც დატოვება.
- 4. უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის კონტროლს ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან შემდგარი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი (შემდგომში - „შტაბი“), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ამ სფეროში დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესაბამისად

მუხლი 3. სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებები

- 1. უნივერსიტეტის სართულებზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული უნდა იყოს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები.
- 2. უნივერსიტეტში წელიწადში არანაკლებ ორჯერ უნდა ჩატარდეს პრაქტიკული ვარჯიში თანამშრომლებისა და სტუდენტების მონაწილეობით.

მუხლი 4. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ტერიტორიისათვის

- 1. უნივერსიტეტის ტერიტორია დროულად უნდა გასუფთავდეს წვადი ნარჩენების, ნაგვის, ჩამოცვენილი ფოთლების და ხმელი ბალახისაგან;
- 2. შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცილებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მასალების და დანადგარების დასაწყობად;
- 3. შენობა-ნაგებობებთან, წყლის წყაროებთან მისასვლელები და გასასვლელები უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად, ხოლო ზამთრის პერიოდში გაწმენდილი თოვლისა და ყინულისაგან.
- 4. კოცონის გაჩაღება, ნარჩენების და ტარის დაწვა დაპროექტების ნორმებით დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ-ის მანძილზე.

მუხლი 5. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის შენობისა და სათავსებისათვის

- 1. უნივერსიტეტის შენობაში აკრძალულია მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტების შეცვლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობების გაუარესება, შეაფერხოს სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებთან მისვლა და შეამციროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების მოქმედების ზონა.
- 2. საევაკუაციო კარების თვითჩამკეტი მოწყობილობა (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში. დაუშვებელია რაიმე სამარჯვის დაყენება, რომელიც ხელს შეუშლის ხანძარსაწინააღმდეგო კარების (მოწყობილობის) ნორმალურ დაკეტვას.
- 3. ხანძრის თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია სამუშაოების ჩატარება გაუმართავ მოწყობილობებზე, დანადგარებსა და აგრეგატებზე, აგრეთვე, გამორთულ საკონტროლო-

საზომ ხელსაწყოებსა და ტექნოლოგიურ ავტომატიკაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ტემპერატურის, წნევის და სხვა პარამეტრების უსაფრთხოების პირობით რეგლამენტირებული მოცემული რეჟიმების კონტროლს.

4. უნივერსიტეტში აკრძალულია:

- ა) ტექნიკური სათავსების სხვა დანიშნულებით გამოყენება, მათ შორის მოწყობილობების, ავეჯის და სხვა საგნების შესანახად;
- ბ) სარდაფის, სხვენის და ცოკოლის სართულებში ადვილალეზადი და წვადი სითხეების, დენტის, ფეთქებადი ნივთიერებების, პიროტექნიკური ნაკეთობების, წვადი აირის ავზების, აეროზოლის პაკეტებში დაფასობული საქონლის და სხვა ხანძარფეთქებადსაშიშ ნივთიერებათა და მასალათა შენახვა-გამოყენება, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი ნორმატიული აქტებით;
- გ) საევაკუაციო გასასვლელების, მათ შორის კარების, აივნების და მომიჯნავე სექციებში გადასასვლელების ღიობების, გარე საევაკუაციო კიბეებზე გასასვლელების ჩახერგვა ავეჯით, მოწყობილობებით და სხვა საგნებით.

მუხლი 6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელებისათვის

- 1. საევაკუაციო გზებზე გამავალი ყველა კარი უნდა იღებოდეს თავისუფლად.
- 2. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას აკრძალულია:
 - ა) საევაკუაციო გზების და გასასვლელების (დერეფნის, კიბის საფეხურების, კარების) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, საწარმოო ნარჩენებით, ნაგვით და სხვა საგნებით ჩახერგვა, აგრეთვე, საევაკუაციო გასასვლელის კარების აჭედვა;
 - ბ) საევაკუაციო გზებზე ზღურბლების (გარდა კარების ღიობების ზღურბლებისა), გასაწევი, ასაწევი და მბრუნავი კარების და ადამიანთა თავისუფალი ევაკუაციის სხვა დამაბრკოლებლების მოწყობა;
 - გ) საევაკუაციო გზებზე კედლებისა და ჭერის, აგრეთვე კიბის საფეხურებისა და ბაქნების გასაწყობად, მოსაპირკეთებლად და შესაღებად წვადი მასალების გამოყენება;
 - დ) საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობის შემცირება (აჭედვა, გარედან ჩაკეტვა, ამოშენება);
 - ე) საევაკუაციო გზების მოსაპირკეთებლად იმ მასალების გამოყენება, რომელთა სახანძრო საშიშროების მაჩვენებელი აღემატება სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს;
 - ვ) კიბის უჯრედებში კონდენციონერების გარე ბლოკების განთავსება.

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ელექტროდანადგარებისათვის

- 1. ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური პროდუქტის მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი შენობა-ნაგებობებში უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ

შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.

2. ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს აკრძალულია:

ა) არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების, გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დამცავი არაკალიბრებული დნობადი დამცველების ან სხვა თვითნაკეთი აპარატების გამოყენება;

ბ) ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;

გ) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრძელებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;

დ) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეტესაღმეტად დატოვება (მათ შორის, „მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;

ე) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით.

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის გათბობისა და ვენტილაციის სისტემებისათვის

1. გათბობის და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკურ რეგულირებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის/დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. საქვაბეებისა და სხვა თბომაცენერირებელი აპარატების ექსპლუატაციისას დაუშვებელია:

ა) სამუშაოდ იმ პირთა დაშვება, რომლებსაც არა აქვთ გავლილი შესაბამისი სწავლება;

ბ) თხევადი საწვავის შენახვა სათავსებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მიზნებისთვის;

გ) საწვავად წვადი ნივთიერებების (მყარი, თხევადი და აირისებრი) გამოყენება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოწყობილობის ექსპლუატაციის წესებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მუშაობა კონსტრუქციით გათვალისწინებული საკონტროლო და მარეგულირებელი ხელსაწყოების არარსებობის, გაუმართაობის ან გამორთვისას.

3. ვენტილაციის და კონდიციონირების სისტემების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

- ა) სავენტილაციო კამერების კარების ღია მდგომარეობაში დატოვება;
- ბ) გამწოვი არხების, ღიობების და ცხაურების გადაკეტვა;
- გ) ჰაერსატარებში დაგროვილი ცხიმნალექების, მტვრისა და სხვა წვადი ნარჩენების ამოწვა;
- დ) ჰაერსატარებზე აირის გამათბობელი ხელსაწყოების მიერთება.

მუხლი 9. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის

1. ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, საქართველოს სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების კრებულის, სტანდარტების) მოთხოვნების შესაბამისად.
2. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროები (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი, სახანძრო წყალსატევი, ხანძრის ჩაქრობის მიზნებისათვის განკუთვნილი წყლის რეზერვუარები), აგრეთვე მისასვლელები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში.
3. ზამთრის პერიოდში სახანძრო ჰიდრანტები და მათთან მისასვლელები უნდა იყოს გაწმენდილი თოვლისა და ყინულისაგან. სახანძრო ჰიდრანტების ჭების სახურავები უნდა იყოს გზის სავალი ნაწილის ზედაპირის დონეზე.
4. ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში საწარმოო ობიექტები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცეცხლმაქრი ნივთიერებების საჭირო (საანგარიშო) რაოდენობით. ცეცხლმაქრი ნივთიერებები უნდა ინახებოდეს ქარხანა-დამამზადებლების მოთხოვნების შესაბამისად და იყოს ხელმისაწვდომი;
5. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსება დერეფნებში, გასასვლელებში არ უნდა აფერხებდეს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას. ისინი უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილებზე სათავსებიდან გასასვლელების სიახლოვეს.

მუხლი 10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ლაბორატორიების სათავსებისათვის

1. ლაბორატორიებში კვლევის დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.
2. ექსპერიმენტების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერიმენტის ხელმძღვანელს.
3. ადვილად ალუბადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.
4. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები, უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით

გათვალისწინებული წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით. ლაბორატორიის სათავსებში ადვილაალებადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში.

5. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.

6. გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.

7. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილაალებად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიშ ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწვი მასალებისაგან.

8. ადვილაალებადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია.

9. ხანძარსაშიშ სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიშ მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.

10. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.

11. გამოყენებული ადვილაალებადი და წვადი სითხეები სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ უნდა შეგროვდეს სპეციალურ დახურულ ტარაში და გატანილ იქნეს ლაბორატორიიდან, შემდგომი უტილიზაციისთვის.

12. ჭურჭელი, რომელშიც ჩატარდა სამუშაოები ადვილაალებადი და წვადი სითხეების გამოყენებით, ცდების დამთავრების შემდეგ უნდა გაირეცხოს ხანძარუსაფრთხო ხსნარით.

13. მეცადინეობების დამთავრებისას კაბინეტებში, ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში ყველა აფეთქებადხანძარ და ხანძარსაშიში ნივთიერება და მასალა უნდა იყოს გატანილი სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები წვადი და ადვილაალებადი სითხეების ტარით შენახვისას

1. ადვილაალებადი და წვადსითხეებიანი ტარის სათავსის (საწყობის) ექსპლუატაციისას აკრძალულია:

- ა) ადვილაალებადი და წვადი სითხეების შენახვა ღია ან არაჰერმეტიკული ტარით;
- ბ) ნაპერწკალწარმოქმნელი ინსტრუმენტით მუშაობა;
- გ) ადვილაალებადი და წვადი სითხეების სათავსებში სარემონტო და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება.

2. აკრძალულია ადვილაალებადი სითხეების ჩამოსხმა, აგრეთვე შესაფუთი მასალების და ტარის შენახვა უშუალოდ საცავეებში.

მუხლი 12. ხანძრის შემთხვევაში უნივერსიტეტის თანამშრომლების მოქმედების წესი

1. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამდებობის პირების მოქმედებები უნდა იყოს მიმართული ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე.

2. უნივერსიტეტში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი (სტუდენტი) ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო (სწავლება), დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო-სამაშველო სამსახურს სატელეფონო ნომერზე - “112” და შტაბის წარმომადგენელს/უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ასევე აცნობოს გარშემო მყოფ პირებს (ამასთან აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი);

ბ) შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;

გ) გათიშოს დენის წყაროდან სათავსში არსებული, მასზე განპიროვნებული ელექტრო დანადგარები და ხელსაწყოები;

დ) საშიშროების საერთო განკარგულების მიღებისას დატოვოს უნივერსიტეტი.

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის თანამდებობის პირები (მათ შორის ჯგუფის წევრები), რომლებმაც შეიტყვეს ხანძრის გაჩენის შესახებ, ვალდებულნი არიან:

ა) გადაამოწმონ გამოძახებულია თუ არა სახანძრო-სამაშველო დანაყოფი. შეატყობინონ ხანძრის თაობაზე ზემდგომ ხელმძღვანელობას;

ბ) შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ხანძრის ჩასაქრობად და უნივერსიტეტიდან პერსონალის/სტუდენტების ევაკუაციისათვის, მატერიალური ფასეულობების გადარჩენისათვის;

გ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია, შეაჩერონ სავენტილაციო და კონდიციონერების სისტემების მუშაობა, შეასრულონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას;

დ) შეწყვიტონ უნივერსიტეტში ყველა სამუშაო (სწავლება), გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან. გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა თანამშრომელი/სტუდენტი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;

ე) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მისვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა (ობიექტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით);

ვ) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;

ზ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შეხვედრას, მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან უმოკლესი გზების შერჩევაში;

თ) მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის კონსტრუქციული თავისებურებების, სათავსებში არსებული ნივთიერებების, მასალების ხანძარსაში თვისებების შესახებ.

მუხლი 13. ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირება

1. ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი:

- ა) წინასწარ განსაზღვრავს დამხმარე მოხალისეთა ჯგუფის შემადგენლობას, ზრუნავს მათი მომზადების დონეზე, უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მათ სწრაფად შეკრებას;
- ბ) შეისწავლის უნივერსიტეტის შენობას და ელექტროგაყვანილობას სახანძრო დაცვის თვალსაზრისით;
- გ) შეისწავლის ელექტროენერჯის მოწოდების წყაროს, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობას, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობას, სუსტ ადგილებს;
- დ) სისტემატიურად ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ამოწმებს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარით, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა;
- ე) შეისწავლის უნივერსიტეტის პერსონალის რაოდენობას.

2. ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი:

- ა) დაუყოვნებლივ ატყობინებს საგანგებო შტაბის ხელმძღვანელს საგანგებო სიტუაციის შესახებ;
- ბ) სასწრაფოდ ატყობინებს საგანგებო სიტუაციის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მოსვლამდე შეძლებისდაგვარად იღებს ზომებს ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;
- გ) განსაზღვრავს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილს;
- დ) ხანძრის ჩაქრობისას გამოყოფს აუცილებელ ძალებსა და საშუალებებს, კრებს მოხალისეთა ჯგუფს და უტარებს ინსტრუქტაჟს;
- ე) ყველა საშუალებების გამოყენებით ახორციელებს ცეცხლის ქრობასა და მის ლოკალიზებას;
- ვ) ადგილზე მოსულ მაშველებს მოახსენებს საქმის ვითარებასა და მათთან ერთად განაგრძობს ცეცხლის ქრობას; ხელს უწყობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;
- ზ) უზრუნველყოფს სტუდენტების, დასაქმებული პერსონალის, უნივერსიტეტის შენობაში მყოფი სხვა პირების გამოყვანასა და მათ უსაფრთხო ადგილას განთავსებას;
- თ) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის უსაფრთხო ადგილას განთავსებას.

თავი II - მიწისძვრის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 14. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები, უნივერსიტეტის შენობაში ყოფნის დროს მიწისძვრის დროს უნივერსიტეტის შენობაში მყოფმა პირებმა (თანამშრომლები, სტუდენტები და სხვა პირები) უნდა დაიცვან შემდეგი წესები:

- ა) ბიძგებისა და შენობის რყევის შეგრძნობისთანავე, შენობის I ან II სართულზე მყოფმა პირებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ იგი და გავიდნენ უსაფრთხო მანძილზე, შენობის ნანგრევებში მოყოლის თავიდან აცილების მიზნით;
- ბ) შენობის დატოვების შეუძლებლობის შემთხვევაში, აუცილებელია უსაფრთხო ადგილის (მზიდი კედლები, შიდა კედლების კუთხეები, მზიდი კედლების კარების თალები, მაგიდის ქვეშ, აგრეთვე „გადარჩენის სამკუთხედის“) პოვნა და იქ თავის შეფარება;
- გ) მაგიდის/მერხის ქვეშ, ასევე მზიდი კედლის ღიობში ფეხზე ან მუხლებზე მდგომმა ან მოხრილ მდგომარეობაში მყოფმა პირმა ხელებით უნდა დაიფაროს თავი;
- დ) დაუშვებელია ფანჯრების სიახლოვეს, აივანზე, ტერასაზე ან ბოლო სართულების კუთხის ოთახებში ყოფნა, აგრეთვე კიბით და ლიფტით სარგებლობა;
- ე) შესაძლებლობიდან გამომდინარე საჭიროა გაზის, ელექტროენერჯის, გათბობისა და სხვა ნებისმიერი ენერგოწყაროს გამორთვა, წყლის ონკანებისა და ვენტილების გადაკეტვა, ცეცხლის ჩაქრობა;
- ვ) დაუშვებელია ასანთის ან სანთებელის გამოყენება (ანთება);
- ზ) აუცილებელია ფანჯრიდან (გარდა I სართულისა) ან აივნიდან გადახტომის მსურველთა შეჩერება;
- თ) მიწისძვრის მთავარი ბიძგების შეჩერების შემდეგ შენობაში დარჩენილმა პირებმა აუცილებლად უნდა დატოვონ შენობა, მიწისძვრის მთავარი ბიძგების გაყურების პერიოდის შემდეგ სხვადასხვა ინტერვალითა და ინტენსივობით ახალი, შედარებით სუსტი ბიძგების (აფტერშოკები) ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 15. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები, უნივერსიტეტის ეზოში ყოფნის დროს

1. მიწისძვრის დროს დაუშვებელია შენობა-ნაგებობებთან, ელექტროგადამცემ სადენებთან, ბოძებთან და ანძებთან დგომა. მსგავს შემთხვევებში უსაფრთხო ადგილებად ითვლება არანაკლებ მათი სიმაღლის მანძილით (შენობა-ნაგებობის შემთხვევაში - არანაკლებ მისი სიმაღლის ნახევარი მანძილით) დაშორებული ადგილები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფრთხის შემცველი ობიექტების განთავსების ტერიტორიის დროულად დატოვების შეუძლებლობის შემთხვევაში, აუცილებელია ხელებით, ჩანთით ან რაიმე სხვა საგნით თავის დაფარვა.

მუხლი 16. მიწისძვრის დროს მოქმედების წესები ნანგრევების ქვეშ მოყოლის შემთხვევაში

მიწისძვრის დროს ნანგრევების ქვეშ მოყოლის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- ა) წყლის და საჭმლის გარეშე შესაძლებელია რამდენიმე დღიდან ერთ კვირამდე, ზოგჯერ კი უფრო მეტხანსაც გაძლება;
- ბ) სასურველია ორიენტირება და საკუთარი ადგილსამყოფელის განსაზღვრა, აგრეთვე გასასვლელის და მახლობლად სხვა ადამიანების ყოფნის გარკვევა, რათა მაშველებთან კავშირის დამყარების შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ სწორად იქნას მითითებული თავისი და სხვათა მდებარეობა და მდგომარეობა;
- გ) ახლომახლო მილის, კედლის ან სხვა საგნის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მასზე კაკუნით, რათა მაშველებმა შეძლონ დაზარალებულის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მისთვის დროული დახმარების აღმოჩენა. საამისოდ ასევე შესაძლებელია სტვენა, მათ შორის სასტვენის გამოყენებით. ყვირილი დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რადგან მსგავს შემთხვევებში არსებობს მტერის საშიში რაოდენობის ჩასუნთქვის ალბათობა;
- დ) დაუშვებელია ასანთის ან სანთებელის ანთება და მკვეთრი მოძრაობების გაკეთება;
- ე) აუცილებელია ცხვირსახოცით ან ტანისამოსით პირისა და ცხვირის დაფარვა;
- ვ) თუ დაზარალებულს ზედ აწევს ნანგრევები, უნდა შეეცადოს ფრთხილად და ნელა მათ მოცილებას ან გადაწევას, რომ შეინარჩუნოს ძალები, არ დაიჭრას ბასრი საგნებით ან/და არ გამოიწვიოს ახალი ნგრევა, რადგან აღნიშნული ნანგრევები შეიძლება წარმოადგენდნენ სხვა ნანგრევების საყრდენს;
- თ) დაუშვებელია ცეცხლის გაჩაღება ან შუქის ანთება;
- ი) დაუყონებლივ უნდა მოხდეს ნანგრევების დათვალიერება, რათა დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის ან ხანძრის ლოკალიზების/ჩაქრობის მიზნით;
- კ) სატელეფონო ხაზებისა და სიხშირეების გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, თუ ამის აუცილებლობა არ არის, დაუშვებელია ტელეფონით ან/და მობილურით სარგებლობა (მათი დაკავება);
- ლ) დაუშვებელია წყლის გამოყენება მისი სისტემის შემოწმების გარეშე;
- მ) აუცილებელია გადარჩენილთა შემოწმება, რათა დროულად მოხდეს დაჭრილთა და დაზიანებულთა მოძებნა და დახმარების აღმოჩენა, ამასთან, ექიმის მოსვლამდე დაუშვებელია მძიმედ დაჭრილთა ადგილიდან დაძვრა;
- ნ) აუცილებელია კომპეტენტური სამსახურების მითითებებისა და რჩევების შესრულება;
- ო) დაუშვებელია დაზიანებულ შენობა-ნაგებობებში შესვლა, განსაკუთრებით თუ იგრძნობა გაზის სუნის, ჩანს გაწყვეტილი ელექტრო სადენები ან შეინიშნება ხანძრის კერები.

თავი III. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია

მუხლი 17. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს მოქმედების წესები

- 1. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს:
 - ა) დაუშვებელია წყლის ნაკადში სიარული, რადგან 15 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე წყლის ნაკადს, დინების სისწრაფისა და ქვა-ლორლიანობის გათვალისწინებით ძალუძს ადამიანის წაქცევა;

ბ) წყალში გადაადგილების აუცილებლობის შემთხვევაში, რეკომენდირებულია მდორე წყალში სიარული. ამასთან, წყლის სიღრმისა და ნიადაგის სიმყარის შესამოწმებლად, უმჯობესია ჯოხის გამოყენება;

გ) წყალში მოხვედრისას პირველ ყოვლისა საჭიროა ჩანთის, მძიმე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოცილება, რაიმე მოტივტივე საგნის მოძიება და მასზე ჩაჭიდება, ხოლო შემდეგ კი ცურვით ან მოტივტივე საშუალებების გამოყენებით მშრალ ადგილას, უმჯობესია გზის მიწაყრილზე ან დამბაზე გადასვლა, რაც იძლევა დაუტბორავ ტერიტორიამდე ადვილად მიღწევის საშუალებას;

დ) დატბორვის მოულოდნელი განვითარების დროს, ტალღის დარტყმისაგან თავდასაცავად, საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად შემალბებული ადგილის დაკავება, მსხვილ და მაღალ ხეზე ასვლა, მყარი ნაგებობების ზედა სართულებზე ან სახურავზე გადაადგილება. წყალში ყოფნისას, ტალღის მოახლოების დროს რეკომენდირებულია წყალში ღრმად, ფსკერამდე ჩაყვინთვა და გარკვეული დაყოვნების შემდეგ კვლავ (წყალქვეშა ცურვით) წყლის ზედაპირზე ამოყვინთვა;

ე) დაუტბორავ ადგილზე გადასვლის შემდეგ აუცილებელია ხელთ არსებული საშუალებებით უბედურების შესაბამისი სიგნალების პერიოდულად გადაცემა, მაშველების მოხმობა;

ვ) მაშველების მოახლოებისას საჭიროა საცურაო საშუალებაში წყნარად, პანიკის გარეშე და ფრთხილად გადასვლა. ყოვლად დაუშვებელია საცურაო საშუალების გადატვირთვა.

2. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს ევაკუაციისას:

ა) საკმარისი დროის არსებობის შემთხვევაში საჭიროა უნივერსიტეტის ეზოს შესასვლელი იშკრის, ასევე შენობის კარების, ფანჯრებისა და დარაბების ჩაკეტვა, საერთო გამომრთველიდან დენის, გაზისა და წყლის გამორთვა (გადაკეტვა);

ბ) აუცილებელია შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების აღმოჩენა საამისო საჭიროების მქონე პირებისათვის, სამაშველო ჯგუფებთან ერთობლივად მოქმედება, მათთვის აუცილებელი და მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მიწოდება დახმარების საჭიროების მქონე პირებისა და არსებული ვითარების თაობაზე;

გ) აუცილებელია სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეტყობინებების და უფლებამოსილი პირების ინფორმაციის გათვალისწინება.

3. წყალდიდობის ან წყალმოვარდნის შემდეგ:

ა) შენობაში შესვლისას აუცილებელია დიდი სიფრთხილის გამოჩენა, დაუძლეველი ძალით გამოწვეული ფარული დაზიანებებიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინება;

ბ) აუცილებელია ყველა ნივთის ზედაპირის საგულდაგულოდ გაწმენდა-გასუფთავება და დეზინფექციის ჩატარება, რადგან წყალდიდობის/წყალმოვარდნის შემდეგ დარჩენილი ტალახი და წყლის მასა შესაძლოა დაზინძურებული იყოს ორგანული თუ არაორგანული ნივთიერებებით;

გ) შეძლებისდაგვარად მცირე დროში უნდა მოხდეს დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის აღდგენა;

დ) დაუშვებელია წყალდიდობის/წყალმოვარდნის შედეგად დაგროვებულ წყლის მასასთან კონტაქტი, მიწისქვეშა სადენებიდან მომდინარე ელექტრომუხტის არსებობის თაობაზე შემოწმების გარეშე;

- ე) დაუშვებელია შემოწმების გარეშე ელექტრო მოწყობილობებისა და ხელსაწყოების გამოყენება;
- ვ) აუცილებელია წყალმომარაგების და უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება;
- ზ) შენობაში შესვლა დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან უსაფრთხოების თაობაზე ინფორმირების შემდგომ;
- თ) წყალში დგომის შემთხვევაში სასტიკად აკრძალულია დენის ან ელექტრო მოწყობილობებისა და ხელსაწყოების ჩართვა (გამორთვა).

თავი IV. თეორიული და პრაქტიკული მომზადება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით

მუხლი 18. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქტაჟი

1. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქტაჟი (შემდგომში - „ინსტრუქტაჟი“) ტარდება უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ სახანძრო და სხვა სახის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, შენობის (სათავსების) და მოწყობილობების ხანძარსაშიშროების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.
2. ინსტრუქტაჟის ჩატარების ორგანიზებას დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ.
3. ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს გააცნოს უნივერსიტეტის სტუდენტებს და თანამშრომლებს:
 - ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სათავსების, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილი მოთხოვნები და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვა;
 - ბ) შენობის, სათავსების, მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ხანძარსაშიშროების სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონის დიეტები;
 - გ) ხანძრის დროს თანამშრომელთა/სტუდენტთა ვალდებულებები და მოქმედებები, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესები, ხანძრის ჩაქრობის საშუალებები და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნები.

მუხლი 19. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნივერსიტეტში ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზება

1. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნივერსიტეტის თანამშრომლების/ სტუდენტების ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების (შემდგომში - ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშები) ჩატარების ამოცანებია:
 - ა) თანამშრომლების/სტუდენტების მზადყოფნის შემოწმება ევაკუაციისა და საგანგებო სიტუაციაში უსაფრთხოების ზომების დაცვისათვის;

- ბ) ხანძრით დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესებისა და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების (ამ საშუალებების არსებობის შემთხვევაში) სწავლება;
- გ) შექმნილ ვითარებაში დამოუკიდებელი და სწრაფი ორიენტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.
2. უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება საგანგებო სიტუაციის პრაქტიკული ვარჯიშები. რექტორის გადაწყვეტილებით განისაზღვრება პრაქტიკული ვარჯიშების ჩატარების თარიღი, ვარჯიშში მონაწილეები და ვარჯიშის ხელმძღვანელი.
3. ხანძარსაწინააღმდეგო პრაქტიკული ვარჯიშის ჩატარებისას პირობითი ხანძრის ვითარების იმიტაცია იქმნება შემდეგი საშუალებებით:
- ა) ხანძრის კერა წითელი ალმით;
- ბ) დაკვამლიანების ზონა ლურჯი ალმით;
- გ) ტოქსიკური აირების, რადიოაქტიურობის, მავნე ორთქლების გამოყოფის ზონა - ყვითელი ალმით.
4. საგანგებო სიტუაციის პრაქტიკული ვარჯიშების ორგანიზებისა და ჩატარების ხელმძღვანელობა ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
5. საგანგებო სიტუაციის პრაქტიკული ვარჯიშის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს მისი გარჩევა ადამიანთა ევაკუაციისა და ხანძრის ჩაქრობისას ჩატარებული მოქმედებების სისწორის შესაფასებლად.

ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების
ინსტრუქცია

№	მოქმედებების დასახელება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებელი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე --“112”	პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი
2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, მორიგე ჯგუფი
3	ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან	ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, მორიგე ჯგუფი
4	ევაკუირებულთა აღრიცხვა	ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება	ადმინისტრაცია
5	ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია	ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია	მორიგე ჯგუფი, ადმინისტრაცია და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები
6	სახანძრო-სამაშველო	სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა,	ადმინისტრაცია

	დანაყოფის დახვედრა	ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესა- ხებ ინფორმაციის გადაცემა	
--	-----------------------	---	--